საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 19 01614255

21/06/2019

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს
დირექტორს ბატონ აპოლონ არდაშელიას
ს/კ 405169598
ტელ: 577 150 700

ბატონო აპოლონ,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებული 2019 წლის 10 მაისის N 69-1/19 და 2019 წლის 19 ივნისის N 74-1/19 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ განხილულ იქნა ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N 6ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.008.082) ასაშენებელი მრავალპროფილური კლინიკის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ასაშენებელი მრავალპროფილური კლინიკის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **2019 წლის 6 მარტის N MIA 81900585681** წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხი, რომელთა პროექტები **სამ თვეში** წარმოდგენილი უნდა იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. N 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

N 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

განმარტებითი ბარათი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის AR1663956 **განცხადებაზე თანდართულ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის** MIA 8 19 00585681 06/03/2019. **წერილთან მიმართებაში**

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2019 წლის 16 თებერვალს დარეგისტრირდა AR1661794 განაცხადი, მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შეფასება, საექსპერტო დასკვნის სახით.

არქიტექტურის სამსახურის №4398638 გადაწყვეტილებაზე თანდართულ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის MIA 8 19 00585681 06/03/2019 წ. წერილთში დადგენილი ხარვეზის შესახებ განვმარტავთ შემდეგს:

ხარვეზი 1. დაპროექტების დოკუმენტაციაში გათვალისწინებული სახანძრო ჰიდრან-ტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახან-ძრო ჰიდრანტები 100მმ ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში;
საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 8.6; 8.10.

პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტი და მათი მონტაჟი გათვალისწინებულია სავალი გზის გასწვრივ. წარმოდგენილ პროექტში სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი „ჰიდრანტი“ დამონტაჟდება სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. ასევე ტერიტორიის მომიჯნავედ ა.პოლიტკოვსკაიას #4 და #3 ეზოში არსებობს მოქმედი ჰიდრანტები საიდანაც მანძილი საპროექტო ობიექტამდე შეადგენს 95-დან 110 მეტრამდე.

ხარვეზი 2. სახანძრო ჰიდრანტების, აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშანით (მოცულობითი შუქსიგნა-ლიანი ან ბრტყელი, დამზადებ-ული შუქამ-რეკლი საფარის გამოყენებით);
საფუძველი: „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

დამკვეთის ინფორმაციით ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ.

ხარვეზი 3. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) სასტუმროს შენობასა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმედეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება მიმდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმედეგობის ხარისხის თაობაზე, შესაბამისად მითითებული უნდა იქნას მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის უნდა განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

გენგეგმაზე დატანილია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) კლინიკის შენობასა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის. საპროექტო შენობის გარე კედლებს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. არსებულ შენობას რომელსაც უახლოვდება საპროექტო შენობა, ასევე გააჩნია 3 საათიანი ცეცხლმედეგობის გარე კედლები.

ხარვეზი 4. გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობასთან ყველა მხრიდან მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.
საფუძველი: SP 4.13130.2013 პ.პ 8.1; 8.6; 8.8; 8.9.

საპროექტო შენობასთან სამი მხრიდან შესაძლებელია სახანძრო მანქანით მიდგომა. მეოთხე მხარე არის ყრუ „ტორეცი“ და აღნიშნული მხრიდან შენობას ემიჯნება ქუჩის განაშენიანება, საიდანაც სახანძრო მანქანის მიდგომა ფიზიკურად ვერ მოხერხდება. აღნიშნულ ყრუ კედელს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

ხარვეზი 5. სახანძრო რეზერვუარის მოცულობის გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ რეზერვუარის მოცულობაში უნდა შევიდეს ხანძრის ჩაქრობის ხარჯი ავტომატური სისტემისათვის, სახანძრო ონკანებისათვის და სახანძრო ჰიდრანტებისათვის (იმ შემთხვევაში, თუ სახანძრო ჰიდრანტები ხანძრის ჩაქრობის ავტომატურ სისტემაზე იქნება მიერთებული).
დამკვეთის ინფორმაციით ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ.

ხარვეზი 6. ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარის სატუმბო სადგურის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნას SP 5.13130.2009 პ. 5.10 და SP 8.13130.2009 პ.

7 მოთხოვნები (მათი განთავსება, კედლების და გადახურვის ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესასვლელები და მათი ზომები, აგრეგატების განლაგება, ჰაერის ტემპერატურა სათავსში, ტუმბოების რაოდენობა და ა.შ).

-2.90 ნიშნულზე განთავსებული სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახი, 913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, ყველა სხვა ფართობისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, სადაც 716.5 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები. (იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 თავი). მოთხოვნები გათვალისწინებულია 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად.

ხარვეზი 7. გათვალისწინდეს, რომ საოპერაციო, რეანიმაციის, ინტესიური რეანიმაციის განყოფილებები შენობაში განთავსებული უნდა იქნეს ბლოკებად ან შენობის ნაწილებად, რომლებიც გამოყოფილი უნდა იქნეს შენობის სხვა ნაწილისაგან არა ნაკლებ 150 წუთის ცეცხ ლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო კედლებით და გადახურვებით.
საფუძველი: SP-158.-133330.2014-ის პ.8.1.3.2

აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია პროექტში დადგენილი შენიშვნის შესაბამისად; კერძოდ ნიშნულებზე (6.85 ; 10.00 ; 13.15) სადაც განთავსებულია შესაბამისი დაკავებულობები, დერეფნების კედლები გახდება ხანძარმედეგი რაც შესაბამისი აღნიშვნით აისახა გეგმებში.

ხარვეზი 8. ვინაიდან დაპროექტების დოკუმენტაციების შესაბამისად ორივე კიბის უჯრედი დაუკვემლიანებელია, მათში მოწყობილია ჰაერის დაწნევა, გათვალისწინდეს, რომდასაშვებია ერთ-ერთი კიბის უჯრედი მოეწყოს გარე ბუნებრივი განათების ღიობების გარეშე, მასში ჰაერის დაწნევით და კიბის უჯრედში შესასვლელში ტამბურ-რაბებით, ასევე ჰაერის დაწნევით.
საფუძველი: SP 158.13330.2014 პუნქტი 8.1.4.8

გზა-კიბეებში გათვალისწინებულია ჰაერის დაწნევა დადგენილი შენიშვნის შესაბამისად. აგრეთვე მიწისვეშა სართულებში კიბის უჯრედებთან განთავსებულია ტამბურ-რაბები ჰაერის დაწნევით.

ხარვეზი 9. ვინაიდან შენობის მე-3 სართულიდნ მე-6 სართულის ჩათვლით გათვალისწინებულია ინტენსიური რეანიმაციის, საოპერაციოების და პალატების მოწყობა, ამიტომ SP-158.-133330.-2014-ის მუხლი 8.2.3-ის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი ხდება ამ სართულებზე პაციენტებისათვის გათვალისწინდეს დაუკვამლიანებელი უსაფრთხოების ზონების (თითოეულ სართულზე ერთი ზონა) მოწყობა. გათვალისწინდეს, რომ უსაფრთხოების ზონები გამოყოფილი უნდა იქნეს სხვა სათავსებისაგან და მომიჯნავე დერეფნებისაგან შემდეგი ცეცხლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო ზღუდეებით:
ა) 90 წუთის ცეცხლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით;
ბ) 60 წუთის ცეცხლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო გადახურვებით;
გ) არა ნაკლებ 60 წუთის ცეცხლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო კარებებით და ფანჯრებით.

საფუძველი: SP-158.-133330.2014 პ. 8.2.3.1, 8.2.3.2, 8.2.3.5,8.2.2.8, 8.2.3.6, 8.2.3.7

მოთხოვნები გათვალისწინებულია დადგენილი შენიშვნის შესაბამისად.

ხარვეზი 10. ვინაიდანინტენსიური რეანიმაციის, საოპერაციოების და პალატების სათავსები SP-158.-133330.-2014-ის პ.8.1.2.3 მოთხოვნების შესაბამისად განეკუთვნება „ა“ ჯგუფის განყოფილებას, გათვალისწინდეს, რომ ამ ჯგუფის განყოფილებებიდან კიბის უჯრედებსა და უსაფრთხოების ზონებში შესასვლელი წინ უნდა გათვალისწინდეს ტამბურ-რაბების მოწყობა, მათში ჰაერის დაწნევით, ტამბურ-რაბების გეომეტრიულმა ზომებმა არ უნდა შეზღუდოს ხანძრის შემთხვევაში პაციენტების გადაადგილება საკაცით და საწოლით.
საფუძველი: SP 158.13330.2014 პუნქტი 8.1.4.2.

მოთხოვნები გათვალისწინებულია დადგენილი შენიშვნის შესაბამისად. მე- 5 სართულზე (13.15) ნიშნულით, საოპერაციო ბლოკამდე მოწყობილია ტამბურ-რაბი ე.წ. ,,შლუზი“, რომელიც აღჭურვილი იქნება დაწნევის სისტემით. ანალოგიურად მე-6 სართულზეც-სადაც განთავსებულია რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის ბოქსირებული პალატები მოწყობილია ტამბურ-რაბი დაწნევის სისტემით, სადაც იქმნება დადებითი წნევა მომიჯნავე სათავსოებითან შედარებით.

ხარვეზი 11. შენობაში ერთ-ერთი ლიფტი გათვალისწინდეს სახანძრო დანაყოფების გადასაადგილებლად. ლიფტების შახტის, აგრეთვე საკომუნიკაციო შახტების შემომზღუდავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხი მოღებულ იქნას არანაკლებ 150 წთ, ხოლო მათში მოწყობილი ღიობების შემავსებლის - არანაკლებ 60 წთ ცეცხლმედეგობის.
საფუძველი: SP-158.-133330.2014 პ. 8.1.5.1; 8.1.5.4

ლიფტის შახტის შემომზღუდავები 2 საათიანი ცეცხლმედეგობისაა, ხოლო მათში მოწყობილი კარებების (ღიობის შემავსებლის) ცეცხლმედეგობა 90 წუთს უტოლდება.

ხარვეზი 12. სარდაფის სართულზე ლიფტის შახტის წინ მოეწყოს ტამბურ-რაბი, მასში ჰაერის დაწნევით.
საფუძველი: „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ N123-F3 88 მუხლი პ. 21 ცხრილი.

სარდაფის სართულზე ლიფტის შახტის წინ მოწყობილია ტამბურ-რაბი, მასში ჰაერის დაწნევით.

ხარვეზი 13.შენობის საევაკუაციო გზებზე, დერეფნებში, ძირითად გასასვლელებში, კიბის უჯრედებში გათვალისწინდეს საევაკუაციო განათების მოწყობა.
საფუძველი: SP 158.13330.2014 პუნქტი 7.7.2.1.2.

აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია პროექტით. (იხ. საექსპერტო დასკვნა)

ხარვეზი 14. გათვალისწინდეს, რომ წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაცია არ შეიცავს ინფორმაციას, თუ როგორ ხორციელდება შენობაში სამედიცინო და ტექნოლოგიური გაზმომარაგება. ეს უკანასკნელი იქნება ცენტრალიზებული თუ არაცენტრალიზებული. ამ კუთხით, შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საავადმყოფოში სამედიცინო ჟანგბადით მომარაგების საკითხების მოგვარებას. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს თუ როგორი იქნება ჟანგბადმომარაგების წყარო, რომელიც SP158.133330.2014-ის პ.7.4.2.2 მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს ჟანგბად-საგაზიფიკაციო სადგურის გამოყენებით, ან 40 ლიტრიანი ჟანგბადის ბალონებით (წნევით არა უმეტესი 15 მპა), ასევე ჟანგბადის გენერატორით (კონცეტრატორით). აღნიშნულიდან გამომდინარე, გათვალისწინდეს, რომ ჩამოთვლი ჟანგბადმომარაგების წყაროებისათვის დადგენილია შესაბამისი სახანძრო უსა-ფრთოების ღონისძიებები.

დამკვეთის ინფორმაციით ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ.

ხარვეზი 15. გათვალისწინდეს, რომ SP158.133330.2014-ის პ.7.7.2.4.2 მოთხოვნების შესაბამისად, შენობებში სახანძრო სიგნალიზაციას, ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის, ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ევაკუაციის მართვის, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და საევაკუაციო განათების და „საოპერაციოს“, „რეანიმაციის“, „ნარკოზისა და სუნთქვის“ დანადგარების და სხვა ელექტრომიმღებებმა, რომელებმაც ხანძრის პირობებში უნდა შეინარჩუნონ მუშაუნარიანობა, ელექტროკაბელების შესრულება უნდა იყოს - უწვი (A)-FRLS ან უწვი (A)-FRHF ხანძარსაშიშროების კლასიდან გამომდინარე. სამედიცინო დაწესებულებების სახვა ელექტრომომხმარებლების მკვებავი ქსელების ცალკეული ან ჯგუფურად გაყვანილი ელექტროკაბელების შესრულება მიღებული უნდა იქნეს - უწვი (A)-LSTx ან უწვი(A)-HFLTx ხანძარსაშიშროების კლასიდან გამომდინარე. ხანძარსაშიშიშ ზონებში ელექტროქსელების შესრულების მოთხოვნები მოცემულია „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ 7.4.4 პუნქტში, ასევე სამედიცინო დაწესებულებებში ელექტროგაყვანილობის მოწყობისას აუცილებელია SP158.133330.2014-ის პ.7.7.2.4 მოთხოვნებით ხელმძღვანელობა.
გასათვალისწინებელია, რომ სამედიცინო დაწესებულებებში პირველი განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლისათვის განკუთვნილი მოთხოვნებიმოცემულია SP158.133330.2014-ის პ.7.7.1.2.2-ში. (შენობის ელექტრომომარაგების საიმედოობასთან დაკავშირებით აუცილ-ებელია SP 158.13130.2014-ის პ.7.7 მოთხოვნების გათვალისწინება).
SP158.133330.2014-ის პ.7.7.2.4.2, 7.7.2.4.3; ”ელექტროდანადგარების საფუძველი: მოწყობის წესი“- 7.

დამკვეთის ინფორმაციით ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება ტექნოლოგიურ პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ.

ხარვეზი 16. ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს (როგორც ტექსტურს ისე გრაფიკულს) შენობაში მოსაწყობ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შესახებ (სათანადო ინფორმაციასა და მონაცემების განზოგადოება კი წარმოებს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შემუშავების გზით), ამასთან ერთად რადგანაც შეუძლებელია ამ სისტემების ტექნოლოგიური სქემებით მოხდეს შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელებიც მათ შორის უნდა შეიცავდეს:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების
მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის მოწყობის პროექტს;
ი) სამედიცინო და ტექნოლოგიური გაზმომარაგების მოწყობის პროექტს.
გაცნობებთ რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

დამკვეთის ინფორმაციით ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების საინჟინრო პროექტებში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში

პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ 3 თვის ვადაში და წარდგენილი იქნება განსახილველად შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

პატივისცემით,

პროექტის ავტორი: გიორგი გურგენიძე

დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:

პროექტი შედგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული № 3050248 30.01.17 წ. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე. პროექტით გათვალისწინებულია საავადმყოფოს მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N6 ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.14.05.008.082).

მიწის ნაკვეთის ფართობია: 669.0 კვ.მ-ს.

ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი (საავტომობილო გზა, ქუჩა), ხოლო დანარჩენ სამ მხარეს კი მომიჯნავე სამეზობლო მიწის ნაკვეთები. არსებული რელიეფი არაერთგვაროვანია (დამრეცია-სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ), მაქსიმალურ და მინიმალურ ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს დაახლოებით 2,65-2,70 მ-ს. აბსოლუტური ნიშნული 0.00=548,55.

პროექტის აღწერა:

პროექტით გათვალისწინებულია 21.30 მ. სიმაღლის, 9 სართულიანი შენობის მშენებლობა. აქედან: 2 მიწისქვედა სართულია, 7 სართული მიწისზედაა.

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მოსაცდელი სივრცე, ადმინისტრატურა, ექიმების კაბინეტები, რეცეფცია, არქივი, დაცვის და მონიტორინგის ოთახი.

მეორე სართულზე ძირითადად განთავსებულია ექიმების კაბინეტები, ასევე საორდინატორო და პერსონალისთვის გათვალისწინებული ოთახი.

მესამე და მეოთხე სართულებზე განთავსებულია პალატები, საპროცედურო და საორდინატორო ოთახები, ასევე სან.ოთახი.

მეხუთე სართულზე განთავსებულია 2 საოპერაციო ბლოკი სრული ციკლით, სასტერილიზაციო ოთახები, სტერილური მასალების საწყობი, პერსონალის სანგამტარი, პერსონალის ოთახი, ინსტრუმენტების წინასწარი რეცხვის ოთახი და დამლაგებლის სივრცე.

მეექვსე სართულზე განთავსებულია ინტენსიური და რეანიმაციული ბოქსირებული პალატები, რეანიმაციული პალატა, მედიკამენტების საწყობი, საორდინატორო და სანიტარული ოთახი.

შენობის სახურავზე მოწყობილია ექსპლუატირებადი ტერასა, რომლის ძირითად ნაწილზეც განთავსებულია ტექნიკური დანიშნულების სათავსები, ლიფტების სამანქანოები, საქვაბე, დანადგარები.

შენობის მიწისქვეშა –2 სართულზე განთავსებულია თეთრეულის, სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის, მედიკამენტებისა და სპეციალური ავეჯის სასაწყობე ფართები. ასევე, განთავსებულია რენტგენის კაბინეტი და ტექ.პერსონალის ოთახი.

შენობის მიწისქვეშა –1 სართულზე განთავსებულია სახანძრო ავზისა და ტუმბოების ოთახი, საგენერატორო და ელექტროფარის სათავსი, ბუფეტი, პერსონალის ოთახი და მაგნიტურ-რეზონანსული ოთახები.

შენობის ძირითადი სტუქტურული სისტემა წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის კარკასს. გაძლიერებული მონოლითური კოჭებით და სვეტებით, სართულშუა გადახურვად და სახურავის ფილად გამოყენებულია ასევე ბეტონის გაძლიერებული ფილა, შენობის კონსტრუქციის ტიპი მისი სიმაღლის და გაბარიტებიდან სახანძრო უსაფრთხოების კუთხით შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით I A ტიპის კონსტრუქციის ტიპს წარმოადგნეს.

<u>შენობის საპროექტო ნაწილში მოეწყობა შემდეგი ხანძრისგან დაცვის სისტემები:</u>

1. ხელის ცეცხლმაქრები
2. კვამლის ავტომატური აღმომჩენი
3. ავტოსაშხეფი სისტემა
4. ალტერნატიული ცეცხლსაქრობი სისტემა
5. ორმხრივი კავშირის სისტემა
6. სახანძრო განგაშის ღილაკი
7. სახანძრო განგაშის დამკავებელთა შეტყობინების სისტემა
8. სახანძრო მილდგარი
9. სახანძრო-სამაშველო სასახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა

საპროექტო შენობის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის #41 დადგენილება. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის 14-39 დადგენილება.

პირობითი აღნიშვნა

	სიმბოლოს სახელწოდება
	ხელის ცეცხლსაქრობი
	ჯვამლის ავტომატური აღმომჩენი
	ავტოსაშხეფი
	ალტერნატიული ცეცხლსაქრობი სისტემა
	ორმხრივი ჯავშირის სისტემა
	სახანძრო განგაშის დამაკავებელთა შეტყობინების სისტემა
	სახანძრო განგაშის ღილაკი
	სახანძრო მილდგარი
	სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი - ჰიდრანტი

მონოლითი

შემავსებელი

საჰაერო შახტები მექანიკური განიავებისთვის

წყლის დასალევი მანქანა

დაკავებულობის ჯგუფის აღნიშვნა						
დაკავებულობების ჯგუფები	დაკავებულობების ჯგუფი აღნიშვნა	ფერის კოდი	დაშტრიხვა	ხაზის სისქე	დაშტრიხვის მასშტაბი	დაშტრიხვის კუთხე
საქმიანი ჯგუფი (სქ)		RGB(72,12,187)	ANSI31	0.05 mm	40	0
დანესებულებითი ჯგუფი (დნ)		RGB(0,0,255)	ANSI31	0.05 mm	40	0
საგრეწველო ჯგუფი (სგ)		RGB(160,32,240)	ANSI31	0.05 mm	40	0
საწყობო ჯგუფი (სწ)		RGB (136,135,134)	ANSI31	0.05 mm	40	0
დამხმარე ჯგუფი (დს)		RGB(57,57,56)	ANSI31	0.05 mm	40	0

120 წუთიანი ხანძარმედეგი კედელი

მისაწვდომობა

გასასვლელთან მისადგომი მანძილი

გაქცევის მიმართულება ევაკუაციის დროს მარჯვნივ / მარცხნივ

გაქცევის მიმართულება ევაკუაციის დროს ზევით / ქვევით





შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. საქმიანი ჯგუფი **სქ** **-5.80** ნიშნულზე განთავსებული რენტგენის ოთახი და ტექნიკური პერსონალის ოთახი. **-2.90** ნიშნულზე განთავსებული MRT მაგნიტურ-რეზონანსული თერაპიის ოთახები, პერსონალის ოთახი და ბუფეტი. **+0.00** ნიშნულზე განთავსებული დაცვისა და მონიტორინგის ოთახი, ადმინისტრაცია, რეცეფცია, მოსაცდელი, სამედიცინო კაბინეტები. **+3.90** ნიშნულზე განთავსებული საორდინატორო, პერსონალის ოთახი და სამედიცინო კაბინეტები. **+7.20; +10.50 და 17.10** ნიშნულებზე განთავსებული საორდინატორო, საპროცედურო და სანიტარული ოთახი. **+13.80** ნიშნულზე განთავსებული პერსონალის ოთახი, დამლაგებლის ოთახი და სამედიცინო ინსტრუმენტების წინასწარი რეცხვის ოთახი. **+17.10** ნიშნულზე განთავსებული მედიკამენტების ოთახი.
2. დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** **+7.20 და +10.50** ნიშნულზე განთავსებული საავადმყოფოს პალატები. **+13.80** ნიშნულზე განთავსებული საოპერაციო სივრცე. **+17.10** ნიშნულზე განთავსებული რეანიმაციის და რეანიმაციის ბოქსირებული პალატები.
3. სამრეწველო ჯგუფი **სმ-1** **-2.90** ნიშნულზე განთავსებული საგენერატორო და ელექტროფარის ოთახი
4. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** **-5.80** ნიშნულზე განთავსებული თეთრეულის საწყობი, ავეჯის საწყობი
5. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** **-5.80** ნიშნულზე განთავსებული სამედიცინო ინვენტარის საწყობი, მედიკამენტების საწყობი.
6. დამხმარე ჯგუფი **დს** **-2.90** ნიშნულზე განთავსებული სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახი

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	I-A
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. საქმიანი ჯგუფი სქ	შეუზღუდავი	2 სართული
2. დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	შეუზღუდავი	
3. სამრეწველო ჯგუფი სმ-1	შეუზღუდავი	
4. სასაწყობო ჯგუფი სწ-1	შეუზღუდავი	1 სართული
5. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	შეუზღუდავი	1 სართული
6. დამხმარე ჯგუფი დს	შეუზღუდავი	1 სართული
	შეუზღუდავი	21.30
სართულების რაოდენობა მიწის ზემოთ	7	
სართულების რაოდენობა მიწის ქვემოთ	2	

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით			
დაკავებულობები		დასაშვები ფართობი კვ.მ.	შემოთავაზებული ფართობი კვ.მ.
1. საქმიანი ჯგუფი სქ	-5.80	შეუზღუდავი	66.9
2. საქმიანი ჯგუფი სქ	-2.90	შეუზღუდავი	103.0
3. საქმიანი ჯგუფი სქ	±0.00	შეუზღუდავი	148.5
4. საქმიანი ჯგუფი სქ	+3.90	შეუზღუდავი	235.3
5. საქმიანი ჯგუფი სქ	+7.20	შეუზღუდავი	43.2
6. საქმიანი ჯგუფი სქ	+10.50	შეუზღუდავი	43.2
7. საქმიანი ჯგუფი სქ	+13.80	შეუზღუდავი	48.3
8. საქმიანი ჯგუფი სქ	+17.10	შეუზღუდავი	26.7
9. დაწესებულებითი ჯგუფი დს	+7.20	შეუზღუდავი	193.0
10. დაწესებულებითი ჯგუფი დს	+10.50	შეუზღუდავი	185.6
11. დაწესებულებითი ჯგუფი დს	+13.80	შეუზღუდავი	215.2
12. დაწესებულებითი ჯგუფი დს	+17.10	შეუზღუდავი	109.3
13. სამრეწველო ჯგუფი სმ-1	-2.90	შეუზღუდავი	40.1
14. სასაწყობო ჯგუფი სწ-1	-5.80	შეუზღუდავი	77.5
15. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	-5.80	შეუზღუდავი	84.0
16. დამხმარე ჯგუფი დს	-2.90	შეუზღუდავი	37.0
17. დამხმარე ჯგუფი დს	+20.40	შეუზღუდავი	27.4
იატაკის საერთო ფართობი =		1684.2	
იატაკების რაოდენობა =		9	
შენობის საერთო ფართობი =		1684.2 + 122.5 (-5.80 ნიშნ.) + 140.1 (-2.90 ნიშნ.) + 126.8 (±0.00 ნიშნ.) + 203.8 (+3.90 ნიშნ.) + 121.5 (+7.20 ნიშნ.) + 128.3 (+10.50 ნიშნ.) + 104.1 (+13.80 ნიშნ.) + 103.4 (+17.10 ნიშნ.) + 95.7 (+20.40 ნიშნ.) = 2830.4	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
1-7 ღერძებში	1.03 მ მინიმალური	1	2	15%	**15%**	დაუშვებელია	-	**0%**	-
ა-ი ღერძებში	0.63 მ მინიმალური	1	2	დაუშვებელია	**დაუშვებელია**	დაუშვებელია	-	**0%**	-
7-1 ღერძებში	1.74 მ მინიმალური	1	2	25%	**25%**	10%	-	**25%**	-
ი-ა ღერძებში	6.23 მ მინიმალური	1	2	შეუზღუდავი	**შეუზღუდავი**	45%	-	**აკმაყოფილებს**	-

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები									
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები	ხანძრის მართვის ცენტრი	სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი
1. საქმიანი ჯგუფი სქ (-5.80 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–	-	კი
2. საქმიანი ჯგუფი სქ (-2.90 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
3. საქმიანი ჯგუფი სქ (±0.00 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
4. საქმიანი ჯგუფი სქ (+3.90 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
5. საქმიანი ჯგუფი სქ (+7.20 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
6. საქმიანი ჯგუფი სქ (+10.50 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
7. საქმიანი ჯგუფი სქ (+13.80 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის	კი	–		

					სისტემა				
8. საქმიანი ჯგუფი სქ (+17.20 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
9. დაწესებულებითი ჯგუფი სქ (+10.50 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
10. დაწესებულებითი ჯგუფი სქ (+13.80 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
11. დაწესებულებითი ჯგუფი სქ (+17.10 ნიშნულზე)	კი (თითოეულს)	-	-	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
12. სამრეწველო ჯგუფი სქ (-2.90 ნიშნულზე)	-	კი	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	-	ბუნებრივი განიავება; მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
13. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (-5.80 ნიშნულზე)	კი	-	-	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
14. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (-5.80 ნიშნულზე)	კი	-	-	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
15. დამხმარე ჯგუფი დს (-2.90 ნიშნულზე)	-	კი	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	–		
16. დამხმარე ჯგუფი დს (+20.40 ნიშნულზე)	-	კი	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის	კი	–		

					სისტემა				
დერეფანი	კი	-	სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები; კვამლის ავტომატური აღმომჩენი; დამკავებელთა შეტყობინების სისტემა	კი	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	_		
კიბის უჯრედი	-	-	-	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	-	_		
კიბის ფოიე	-	-	კვამლის ავტომატური აღმომჩენი;	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	-	_		
ლიფტი	-	-	-	-	მექანიკური განიავება/დაწნევის სისტემა	-	_		
ლიფტის სამანქანე	-	კი	კვამლის ავტომატური აღმომჩენი;	-	მექანიკური განიავება; კვამლის გაწოვის სისტემა	კი	_		

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება

საშუალებები		
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	კი
დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	კი	კი
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	-	კი
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	-	კი
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	-	კი
დამხმარე ჯგუფი დს	-	კი
დერეფანი	-	კი
კიბის უჯრედი	-	კი
კიბის ფოიე	-	კი
ლიფტი	-	კი
ლიფტის სამანქანე	-	კი

თითოეული სართულიდან და სივრციდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული (თავისუფალი)
	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 8 (რენტგენის კაბინეტი, პერსონალის ოთახი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	0.97 და მეტი

-5.80 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 ს.დ.დ. 2 (თეთრეულის საწყობი, ავეჯის საწყობი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.97
	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 ს.დ.დ. 2 (მედიკამენტების საწყობი, სამედიცინო ინვენტარის საწყობი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.97
-5.80 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 12		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95
-2.90 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 27 (MRT მაგნიტურ-რეზონანსული თერაპიის ოთახები, პერსონალის ოთახი და ბუფეტი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.95 და მეტი
	სამრეწველო ჯგუფი სმ-1 დ.დ. 1 (საგენერატორო და ელფარის ოთახი)	1	1 (გზა-კიბე)	-	-	-	-	0.82	0.97
	დამხმარე ჯგუფი დს დ.დ. 1 (სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახი)	1	1 (გზა-კარი)	-	-	-	-	0.82	0.95
-2.90 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 29		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95
	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 16	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი)	–	–	-	-	0.82	0.97

±0.00 ნიშნულზე	(დაცვისა და მონიტორინგის ოთახი, ადმინისტრაცია, რეცეფცია, მოსაცდელი, სამედიცინო კაბინეტები)		(თითოეულს)						
±0.00 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 16		2	2 (გზა-კარი)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95 და მეტი
+3.90 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 25 (საორდინატორო, პერსონალის ოთახი და სამედიცინო კაბინეტები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	0.97 და მეტი
+3.90 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 25		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95
+7.20 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 4 (საორდინატორო, საპროცედურო და სანიტარული ოთახი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	0.97
	დაწესებულები თი ჯგუფი დწ-2 ს.დ.დ. 17 (საავადმყოფოს პალატები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	1.10
+7.20 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 21		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95
+10.50 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 4 (საორდინატორო, საპროცედურო და სანიტარული ოთახი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	0.97
	დაწესებულები	1		–	–	-	-		

	თი ჯგუფი დწ-2 ს.დ.დ. 17 (საავადმყოფოს პალატები)	(თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	1.10
+10.50 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 21		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95
+13.80 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 6 (პერსონალის ოთახი, დამლაგებლის ოთახი და სამედიცინო ინსტრუმენტების წინასწარი რეცხვის ოთახი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	0.97
	დაწესებულები თი ჯგუფი დწ-2 დ.დ. 9 (საოპერაციო სივრცე)	1	1 (გზა-კარი)	–	–	-	-	0.82	1.54
+13.80 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 15		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95
+17.10 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ ს.დ.დ. 3 (საორდინატორო, საპროცედურო და სანიტარული ოთახი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	0.97
	დაწესებულები თი ჯგუფი დწ-2 ს.დ.დ. 4 (რეანიმაციის და რეანიმაციის ბოქსირებული პალატები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	–	–	-	-	0.82	1.54
+17.10 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 7		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95

+20.40 ნიშნულზე	დამხმარე ჯგუფი დს ს.დ.დ. 2 (საინჟინრო დანადგარების სათავსი)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.95
+20.40 ნიშნულზე სართულის ს.დ.დ. 2		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.22	2.40	2.50	0.82	0.95

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა

ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები (ცალი)											
		უნიტაზი			ტუალეტის ხელსაბანები			აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა	
